18/02/2019

სალომე ზურაბიშვილი პარიზში თავისი წინაპრების ინიციატივით მოწყობილ ეკლესიაში წირვას შვილებთან ერთად დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პარიზში, შვილებთან ერთად, წმინდა ნინოს სახელობის იმ ეკლესიაში დაესწრო წირვას, რომელიც მისი მამის, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით მოეწყო.

ტაძრის წინამძღვარმა, მამა არჩილმა ის პერიოდი გაიხსენა, როცა ბავშვობაში, სალომე ზურაბიშვილი აქტიურად დადიოდა ეკლესიაში და მგალობელთა გუნდში გალობდა. მან პრეზიდენტს საკუთარ საქმიანობაში წინსვლა და წარმატებები უსურვა.

„ჩვენ ვიმყოფებით ქართული ემიგრაციის ეკლესიაში, რომელიც ლევან ზურაბიშვილის, იოსებ კემულარიას და ილამაზ დადეშქელიანის დაფუძნებულია. ჩვენი სალომე დადიოდა აქ ბავშვობიდან. მახსოვს, როგორ გალობდა გუნდში, ბევრი ასეთი შინაურული მოგონებები გვაქვს. დიდი იმედი მაქვს, რომ თავისი საქმიანობით ევროპასთან და უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში დიდ წინსვლასა და წარმატებებს მიაღწევს. ამ იმედით ვლოცულობთ მისთვის და საქართველოსთვის”, – განაცხადა მამა არჩილმა.

პარიზში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია 1929 წელს იმ ქართველი მართლმადიდებლებისთვის დაარსდა, რომლებმაც 1921 წელს რუსული ოკუპაციის შემდეგ, საფრანგეთს შეაფარეს თავი.

წმინდა ნინოს მრევლისთვის პარიზში წირვა-ლოცვა 1944 წლიდან დაქირავებულ შენობებში აღევლინებოდა, 1973 წელს კი, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მამის, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის ინიციატივით, პარიზში მოხერხდა ადგილის შეძენა და საფრანგეთსა და უცხოეთში მცხოვრები ქართველების შემოწირულობებით სამლოცველოს მოწყობა.

1990-იან წლებამდე ეს იყო ერთადერთი ღვთისმსახურების ადგილი საქართველოს ფარგლებს გარეთ, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღევლინებოდა.

დღევანდელი დღის შესახებ სალომე ზურაბიშვილის ქალიშვილმა, ქეთევან გორჯესტანმა „ფეისბუქპოსტი“ დაწერა, სადაც მათი ბებია ყვება, როგორ შეიძინეს პარიზში ადგილი სალოცავისთვის.

„დღეს სულ იმაზე ვფიქრობ, ბებიას როგორ გაუხარდებოდა ჩვენთან ერთად ეკლესიაში წამოსვლა. თემურთან დილიდან ვიხსენებთ ბებიას ისტორიებს“,- წერს ქეთევან გორჯესტანი.

(1tv.ge)